18.11.2024

მოვუწოდებთ შსს-ს, უზრუნველყოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული შეკრება–მანიფესტაციის და გამოხატვის უფლების დაცვა.

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს შსს-ს უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის შეკრება–მანიფესტაციის და გამოხატვის უფლების დაცვა. 2024 წელს ორგანიზაციის მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების თანახმად, რიგ შემთხვევებში ხელისუფლების ორგანოები არათუ ვერ უზრუნველყოფენ მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვას, არამედ პირდაპირ და უხეშად ერევიან ამ უფლებით დაცულ სფეროში.

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად აკვირდება შეკრებებსა და მანიფესტაციებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას, როგორც საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების, ისე მათი მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ქმედებების ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი პირდაპირ არ განმარტავს მოქალაქეთა სპონტანური შეკრების უფლების ცნებას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით და საერთაშორისო სამართლით აღიარებულია მოქალაქეების უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოხატონ შეხედულებები და მოსაზრებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად დროულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც პროტესტის ეფექტიანობას უზრუნველყოფს, ხოლო დაყოვნებამ შესაძლოა სრულად დაუკარგოს აზრი რეაქციას, რაზეც ასევე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებში საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სწორედ მსგავსი შესაძლებლობაა სპონტანური შეკრება, რომელიც გარკვეული შემთხვევის/ინციდენტის მყისიერი პასუხია, არ ატარებს წინასწარ დაგეგმილ ხასიათს და ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, არ ჰყავდეს გამოკვეთილი ორგანიზატორი.

ცენტრი მიმდინარე დღეების განმავლობაში აქტიურად აკვირდება მოქალაქეთა მიერ ორგანიზებულ და სპონტანური ხასიათის საპროტესტო აქციებს, რომელიც მიმართულია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ამომრჩევლებზე ზეწოლის, მოსყიდვის, არჩევნების ფარულობის პრინციპის უგულვებელყოფის და სხვა მნიშვნელოვანი დარღვევების ფონზე გამოვლენილი შედეგების წინააღმდეგ. აქციებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რიგი უფლებადარღვევები, მათ შორის აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის, არაიდენტიფიცირებული სამართალდამცველების მობილიზების, საპროტესტო აქციების მონაწილეთა უკანონო დაკავების და ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საპროცესო უფლებების უგულვებელყოფის მიმართულებით. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აქციის ფორმა ყოველ ჯერზე ატარებდა მშვიდობიან ხასიათს და მომიტინგეთა ქმედებები შეესაბამებოდა შეკრება–მანიფესტაციის და გამოხატვის უფლებით დაცულ სტანდარტებს.

ცენტრი აქვე დადებითად აფასებს სახელმწიფოს მხრიდან მასზე დაკისრებული ნეგატიური ვალდებულების შესრულების სტანდარტებს, მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მხრიდან ქალაქ თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე საავტომობილო გზის გადაკეტვის და კარვების განთავსების შემთხვევასთან დაკავშირებით და მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს უზრუნველყოს მოქალაქეთა მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის უფლების დაცვა, ვინაიდან ეუთო/ოდირის 2010 წელს გამოცემული მშვიდობიანი შეკრების სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, კარვისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების მოწყობა მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ სფეროში ექცევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფლებადამცველთა გაერთიანება-ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს:

შინაგან საქმეთა სამინისტროს

- დაიცვას ადამიანების წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეკრებისა და პროტესტის გამოხატვის უფლება.

- განაგრძოს სახელმწიფოს მხრიდან მასზე დაკისრებული ნეგატიური ვალდებულების შესრულება და ხელი არ შეუშალოს აქციის მონაწილეების მიერ პროტესტის მშვიდობიანი ფორმით გამოხატვის უფლების განხორციელებას.

- შეკრებისა და მანიფესტაციის ფასილიტაციის პროცესში უზრუნველყოს ფორმიანი და იდენტიფიცირებადი პოლიციელების მონაწილეობა.

- უზრუნველყოს აქციების მართვა/ფასილიტიციის პროცესში ჩართული სამართალდამცავების სათანადო გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

- ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს განუმარტოს და უზრუნველყოს ისინი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი